



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

30 აგვისტო 2012 წელი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №179**

**ნადია ტრაპაიძესთან შრომითი ხელშეკრულების  
გაფორმების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის და „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს მე-6 მუხლის შესაბამისად:

**ე ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც შტატგარეშე მოსამსახურე აყვანილ იქნეს ნადია ტრაპაიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამლაგებლად.
2. ბრძანებას თან ერთვის ნადია ტრაპაიძესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება.
3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი

# შრომითი ხელშეკრულება

ქ. ოზურგეთი

30 აგვისტო 2012 წელი

ერთის მხრივ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც წარმოდგენილია საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ ალექო მამეშვილის სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“) და მეორეს მხრივ ნადია ტრაპაიძე მცხოვრები ქ. ოზურგეთის ნინო ნაკაშიძის ქ. №5-ში (შემდგომში „დასაქმებული“) ვდებთ შრომით ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

„დამსაქმებელი“ (მუნიციპალიტეტის საკრებულო) დებს შრომით ხელშეკრულებას ნადია ტრაპაიძესთან, რათა იგი აყვანილ იქნას შტატგარეშე მოსამსახურედ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამლაგებლად 2012 წლის 1 სექტემბრიდან.

## მუხლი 2. მხარეთა ვალდებულება და პასუხისმგებლობა

2.1. „დამსაქმებელი“ ვალდებულია დაასაქმოს „დასაქმებული“ იმ სამუშაოთი, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

2.2. შეუქმნას „დასაქმებულს“ სათანადო პირობები და უზრუნველყოს მისი ტექნიკური უსაფრთხოება.

2.3. „დამსაქმებელს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „დასაქმებულს“ შინაგანაწესისა და შრომის დისციპლინის დაცვა.

2.4. „დასაქმებული“ ვალდებულია ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოადგინოს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჭირო დოკუმენტაცია.

2.5. „დასაქმებული“ ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სამუშაოზე, შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა და დაიცვას შინაგანაწესი.

2.6. „დასაქმებული“ ვალდებულია შეასრულოს ადმინისტრაციის მოთხოვნები და ბრძანებები.

2.7. „დასაქმებული“ უფლება აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში და პირობებში მოითხოვოს ხელფასის ანაზღაურება.

2.8. ისარგებლოს შესვენებით სამუშაო დღის განმავლობაში. დასვენებითა და უქმე დღეებით, ამასთანავე ისარგებლოს კუთვნილი შვებულებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 3. ანაზღაურების ოდენობა და ვადები

„დასაქმებულს“ მიეცემა 250 ლარი ხელფასის სახით.

## მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1 სექტემბრიდან და მოქმედებს 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.

4.2. ერთ-ერთი მხარის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დასაშვებია შრომის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.3. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

4.4. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

### მუხლი 5. დამატებითი პირობები

„დასაქმებულ“ პირს არა აქვს უფლება საჯარო გახადოს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც ზეგავლენას მოახდენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობაზე და იმიჯზე.

### მუხლი 6. მხარეთა რეკვიზიტები

„დამსაქმებელი“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო,  
ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1

„დასაქმებული“

ქ.ოზურგეთის ნინო ნაკაშიძის ქუჩა ქ.  
№5 მცხ. ნადია ტრაპაიძე

### მუხლი 7. ხელმოწერები

მხარეები ხელშეკრულებას ადასტურებენ ხელმოწერით და შედგენილია ორ ეგზემპლარად თითო ცალი მხარეთათვის.

„დამსაქმებელი“

-----

(ხელწერა)

ალექო მამეშვილი

„დასაქმებული“

-----

(ხელწერა)

ნადია ტრაპაიძე